პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 71 (10465)

შაბათი, 24 მარტი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

გავაუმჯობესოთ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა

პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი თავდადებისათვის აღაფრთოვანეს ასეულ ათასობით და მილიონობით საბჭოთა ადამიანები. ეს საერთო აღფრთოვანება ვლინდება მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელმაც მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მრეწველობის ყველა საწარმო, ყველა კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა.

ის ფაქტი, რომ სოციალისტური შეჯიბრება — კომუნისტური მშენებლობის ეს მრავალგზის ნაცადი მეთოდი პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დაწყებიდანვე მზარდი სიმძლავრით გრძელდება, თანდათან უფრო ფართოვდება. მოწმობს მასების მტკიცე გადაწყვეტილებას — რადაც უნდა დაჯდეს უზრუნველყონ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებმა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრეს მეექვსე ხუთწლედის პირნათლად განაღდება, პირველ რიგში 1956 წლის გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება, ყველა ღონისძიების მიღება შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უზრუნველსაყოფად. ასევე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმ, კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა გვიჩვენეს ერთსულოვანი მისწრაფება გადაჭარბებით შეასრულონ მოსავლიანობის ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზაზე მიაღწიონ მოხმარების პროდუქტებისა და მრეწველობის საჭიროებისათვის ნედლეულის სიუხვეს.

სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიზანი ახლა სწორედ ეს არის — ყველა ღონისძიებით ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და ამის საფუძველზე მივაღწიოთ თუჯის, ფოლადის, ნავლინის წარმოების მკვეთრ ზრდას, ქვანახშირის, ნავთობის, სხვა ძვირფასი წიაღისეულის ამოღების გადიდებას, ელექტროენერგიის, ქიმიური და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, აგრეთვე სამრეწველო ნედლეულის სიუხვეს.

სოციალისტური შეჯიბრება მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინების საუკეთესო მეთოდია. ამას ცხადად ადასტურებს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები მოწინავე პროფჯგუფორგანიზატორების ვ. პაპიაშვილის (ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა), ა. მურავიოვის (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა) და მთელ რიგ სხვა საწარმოთა პროფაქტივისტების გამოცდილება.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივს სოციალისტური შეჯიბრების ახლებურად მოწყობამ კარგი შედეგები მისცა, მაგრამ ეს შედეგები კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ შეჯიბრების ძალა არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისაკენ წარემართათ. ნაკლოვანებები კი ამ ქარხანაში ბევრია. მათ შორის მთავარია კვეთებით მუშაობა, რიტმის ჩაშლა, რაც იწვევს გაცდენებს. მუშაობის უკეთესი მაგალითი მოგვცა 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც წარმოების გაჯანსაღებისათვის ღონისძიებების განხორციელება დაიწყო ჭოსამზადებელ საამქროთა მუშაობის გაუმჯობესებით, მანქანათა დეტალების გარდამავალი მარაგის შექმნით, რათა თვის დასაწყისიდანვე უზრუნველეყოთ მთელი საწარმოს რიტმული მუშაობა.

პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა, რომლის განხორციელება პარტიამ პროფკავშირებს დააკისრა. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა აღარ იზრუნონ. პირიქით, პარტიული ორგანიზაციები გვერდში უნდა ამოუდგნენ ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, უხელმძღვანელონ და დაეხმარონ მათ სამეურნეო ამოცანების შესასრულებლად მასების დარაზმვაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების წარმატება, მაშასადამე, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება დამოკიდებულია შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის მაღალ დონეზე, ამ საქმეში ფორმალიზმის აღმოფხვრაზე.

სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა წარმოების სრულყოფა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნით ჩვენს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. მათი წახალისება, შემოტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა დაუყოვნებლივ განხილვა, შესწავლა და დანერგვა დიდად დაეჩქარებს ტექნიკური პროგრესის განვითარებას, შეჯიბრების მონაწილეებს გაუადვილებს ნაკლისი ვალდებულებების შესრულებას.

შიდასაქარხნო დაგეგმარებაში არსებული ნაკლოვანებების, შრომის ორგანიზაციის სუსტი მხარეების გამოვლენებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით საწარმოო თათბირებს. სოციალისტური შეჯიბრების წარმატება წარმოუდგენელია იქ, სადაც შრომა მოუწყობელი და შიდასაქარხნო დაგეგმარება მოუწესრიგებელია. ამიტომ პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად გამოიყენონ საწარმოო თათბირები.

ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ვიზრუნოთ მუშათა კვალიფიკაციის, მათი კულტურულ-ტექნიკური განვითარების დონის ამაღლებისათვის. საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია არ დაუშვან სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მიერ ვალდებულებების ფორმალურად აღება, არამედ საქმე ისე მოაწყონ, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება გარანტირებულ იქნას სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებით.

შეჯიბრების შედეგების საჯაროობა, ამ შედეგების სისტემატური აღრიცხვის მოწესრიგება, შეჯიბრების მონაწილეთა წახალისების შემოღება ის ღონისძიებებია, ურომლისოდაც სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელი არ იქნება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების განაღდება, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიერ 1956 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლებაზე, ამ საქმეში უსაგნო ხმაურისა და ფორმალიზმის გადაჭრით აღმოფხვრაზე.

ქართულ ენაზე გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები

სახელგამმა ქართულ ენაზე ცალკე ბროშურებად გამოუშვა ამხანაგების ნ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ნ. მ. შვერნიკის, ნ. ი. ბელიაევის, დ. ტ. შეპილოვის სიტყვები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე.

პარტიის XX ყრილობის მასალები ბროშურებად გამოცემულია მასობრივი ტირაჟებით. (საქდესი).

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულება

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად ახალციხის რაიონმა 20 მარტისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები: ხორცისა — 111 პროცენტით, რძისა — 125, კვერცხისა — 134 პროცენტით. რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ღორის ტყავის, ბეწვეულისა და ქურქეულის ჩაბარების პირველი კვარტალის გეგმა.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ავჭოქარხნელთა კოლექტიური ხელშეკრულება

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა კონფერენცია, რომელმაც განიხილა 1955 წლის კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების შედეგები და 1956 წლის კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი. მოხსენებები გააკეთეს ქარხნის დირექტორმა ამხ. კრილოვმა და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სოფონოვმა.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები შესრულებულია. განვლილ წელს განხორციელდა მრავალი ღონისძიება, რომლებმაც შესაძლებელი გახადა გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება. ამუშავდა 1.250 მეტრი ახალი კონვეიერი, რვა ამწე-კოჭი, ექვსი ხიდური ამწე, ორი ხუთტონიანი ავტოამწე და სხვა მექანიზმები.

კონფერენციის დელეგატებმა განიხილეს 1956 წლის კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი. პროექტში აღნიშნულია, რომ 4.000 ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების დანერგვით ქარხანა მიიღებს სულ ცოტა 35 მილიონ მანეთ ეკონომიას, ხოლო რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით — 30 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას.

შარშან აშენდა ხუთი ახალი აგარაკი საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა საზაფხულო დასვენებისათვის, წელს შენდება კიდევ შვიდი აგარაკი.

საქარხნო კომიტეტი 1956 წელს კულტმასობრივი მუშაობისათვის გამოყოფს 1.390 ათას მანეთს, აქედან ბავშვებთან სკოლისგარეშე მუშაობისთვის 150 ათას მანეთს და ფიზკულტურული მუშაობისათვის 221 ათას მანეთს. (საკდესი).

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა თეატრის სამხატვრო საბჭო

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა თეატრის სამხატვრო საბჭო, რომელშიც შედიან საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები. საბჭომ დახმარება უნდა გაუწიოს თეატრებსა და საკონცერტო ორგანიზაციებს დრამატული და მუსიკალური ხელოვნების ახალ ნაწარმოებთა შექმნაში, მათი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებაში. საბჭო განიხილავს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რეპერტუარის მდგომარეობას და მხატვრული ოსტატობის დონეს თეატრსა და დრამატურგიაში.

21 მარტს გაიმართა სამხატვრო საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია მ. ი. ცარიოვი, თავმჯდომარის მოადგილეებად — ა. დ. პოპოვი, ა. ვ. სოლოდოვნიკოვი, მ. ი. ჩულაკი.

სხდომა მიეძღვნა აკადემიური მცირე თეატრის სპექტაკლის „ფულის“ განხილვას. განხილვაში მონაწილეობდნენ კრიტიკოსი ა. ნ. ანასტასიევი, პიესის ავტორი ა. ვ. სოფრონოვი, სპექტაკლის დამდგმელი ბ. ა. ბაბოჩკინი, დრამატურგი ი. პ. ჩეპურინი, საბჭოთა თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეები მ. მ. იანშინი, ს. ვ. ობრაზცოვი, ლ. ს. ვიეინი, მ. ი. ცარიოვი. (საკდესი).

ახალი სახის ცემენტები

მოსკოვი. (საკ. კორ.). მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნიკური ინსტიტუტის მჭიდა მასალების კათედრა, რომელსაც პროფესორი პ. ბუდნიკოვი ხელმძღვანელობს, დიდ მუშაობას ეწევა ახალი სახის ცემენტების მისაღებად.

უკვე დამუშავებულია ე. წ. ალიტური ცემენტის მიღების ტექნოლოგია. ეს ცემენტი, რომელიც მიიღება თიხისა და ბოქსიტებისაგან, მეტად სწრაფად მკვრივდება. შემუშავებულია აგრეთვე მეტალურგიული წარმოების ნარჩენებისაგან და მეტალურგიული წიდასაგან ჰიდრავლიკური ცემენტის მიღების ახალი ტექნოლოგია, აგრეთვე ახალი სახეობის სწრაფმკვრივადი ცემენტის წარმოების მეთოდიკა.

ეს ახალი ცემენტები მშენებლობაში გამოსაცდელად გადაცემული აქვთ სათანადო სამშენებლო ორგანიზაციებს.

მრეწველობის ნოვატორთა გამოცდილებიდან

★ ★ ★

1. საუკეთესო ხარატი პ. პაიულა

ესტონეთის სსრ. ტალინის მანქანათმშენებელი ქარხნის „ილმარინეს“ მექანიკურ საამქროში ერთ-ერთ ჩარხზე ჰკიდია პლაკატი წარწერით: „აქ მუშაობს რესპუბლიკის საუკეთესო ხარატი პაულ პაიულა“.

პ. პაიულა რამდენიმე წლის წინათ ესტონეთში პირველი დაეუფლა ლითონის ჩქარონსული ჭრის მოწინავე მეთოდებს, რამაც მას საშუალება მისცა მკვეთრად გაედიდებინა გამომუშავება. მას შემდეგ იგი განუწყვეტლივ აუმჯობესებს თავის ოსტატობას, ეძებს და პოულობს ყველა საწარმოო ოპერაციის შესრულების რაციონალურ გზებს.

პაიულამ ერთნახევარჯერ და კიდევ მეტით აამაღლა ხახარატო ჩარხზე ჭრის რეჟიმი.

იგი მთავარ ყურადღებას აქცევს დეტალის დამაგრებასა და გაზომვაზე, ჩარხის მართვასა და საჭრისის დადგმაზე საჭირო დამატებითი დროის შემცირებას. მაგალითად, სფერულ ზედაპირიანი დეტალების მოსახარატებლად ნოვატორმა გამოიყენა პირის გადასაღები სპეციალური მოწყობილობა, რაც აადვილებს დეტალის დამაგრებას და სწორი ზედაპირის მიღებას, აჩქარებს გაზომვას და კონტროლს. ამ მოწყობილობის გამოყენებამ ერთნახევარჯერ-ორჯერ შეამცირა დამხმარე დრო. ცილინდრულ ზედაპირთა დამუშავებისას დროის შესამცირებლად ხარატმა წარმატებით გამოიყენა ინდიკატორი, რომელიც საშუალებას იძლევა ადვილად გაიზომოს დეტალი 0,01 მილიმეტრამდე სიზუსტით. ამ მოწყობილობას ახლა ფართოდ იყენებენ ქარხანაში.

საამქროს ტექნოლოგთან თანამეგობრობით პაიულამ შეიმუშავა აგრეთვე პატარა ზომის შიგნითა ბრახნის ჭრის ახალი მეთოდი, რითაც ორნახევარჯერ შემცირა დამატებითი და სამანქანო დრო.

ქარხანაში მუშაობის განმავლობაში პაიულამ მოამზადა 20 კვალიფიციური ხარატი. მისი საუკეთესო მოწაფეები — ამხანაგები ტირუვერი, ადამაა არა მარტო საუკეთესოდ იყენებენ თავიანთი მასწავლებლის მუშაობის ხერხებს, არამედ უკვე წარმატებით ეჯიბრებიან მას. მოწინავე ხარატის გამოცდილების გასაცნობად ხშირად ჩამოსულან მისი ამხანაგები რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან. რესპუბლიკაში მასობრივი ტირაჟით გამოვიდა პაიულას წიგნი — „ლითონების მოხარატება ძალოსნური მეთოდით“.



სურათზე: მოწინავე ხარატი პ. პაიულა.

ნოვატორი დაინტერესებულია წარმოების სხვა მუშაკების მიღწევებით. თავის მუშაობაში მან ბევრი რამ გადაიღო წარჩინებული ჩქაროსნის გენრიხ ბორტკევიჩისაგან და სახარატო საქმის სხვა ოსტატებისაგან, რომლებსაც იგი შეხვედრია. პ. პაიულა მჭიდროდ არის დაკავშირებული ესტონეთის სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკურ საზოგადოებასთან, რომლის წევრიც იგი არის.

2. მრავალჩარხოსანი ალექსანდრა მალიშევა

მინსკი. მინსკის სატრაქტორო ქარხნის სათრეველა ტრაქტორების საამქროს მრავალჩარხოსანი კომკავშირელი ალექსანდრა მალიშევა ფართოდ არის ცნობილი ბელორუსიის ბევრ საწარმოში.

ექვსი წლის წინათ, ლენინგრადის № 12 სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ქარხანაში, სადაც მაშინვე მიეპყრო ამხანაგების უურადღება თავისი შეუპოვრობით, ყოველივე ახლისადმი, მოწინავისადმი მისწრაფებით. მალიშევა სწრაფად დაეუფლა კბილანსარანდავ ჩარხზე მუშაობას და ნორმას გადაჭარბებით ასრულებდა. წარმოების ახალგაზრდა მუშაკი არ დაკმაყოფილდა მიღწეულით. იგი ცნობისმოყვარეობით და შეუპოვრად ეძებდა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების გზებს.

ალექსანდრა მალიშევამ ერთ-ერთ საწარმოო თათბირზე სურვილი გამოთქვა ემუშავნა ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ჩარხზე. ასე გაჩნდა საამქროში პირველი მრავალჩარხოსანი. მალიშევა ემსახურებოდა ორ კბილანსარანდავ, კბილანსაღარავ და შლიცსაღარავ ჩარხებს, შემდეგ მოუმატა კიდევ ერთი ბრახნსაღარავი ჩარხი. მალიშევამ კარგად შეისწავლა დეტალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი, იყენებდა ხარისხოვან ინსტრუმენტს, მინიმუმამდე შეამცირა ჩარხების მომსახურებისათვის დამატებითი დრო. მალიშევა დროის 95 პროცენტს ხარჯავს ნაყოფიერ მუშაობაზე და ყოველდღე სულ მცირე ორ ნორმას ასრულებს.

ამ წარმატებებს მან მიაღწია თავდადებული შრომით, ხიძნელეთა შეუპოვრად გადალახვით.

მაგალითად მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ კბილანსაღარავი ჩარხის წარმადობა საკმარისი არ იყო, რაც არღვევდა კბილანების დამუშავების ციკლს და იწვევდა გაცდენას შემდგომ ოპერაციაზე. მოეთათბირა რა ოსტატს და უბნის ტექნოლოგს, მალიშევა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ჩარხზე ჭრის რეჟიმის ამაღლება, რისთვისაც ფრეზის ერთ კბილზე მიწოდება 0,08 მილიმეტრიდან გაადიდა 0,12 მილიმეტრამდე. ამან დეტალის დამუშავებაზე საჭირო სამანქანო დრო შეამცირა 30-32 პროცენტით. ერთ ჩარხზე შრომის ნაყოფიერების ამაღლებამ შეცვალა მუშაობის პირობები დანარჩენ ჩარხებზეც. შესაძლებელი გახდა თვითეულ ჩარხთან საჭირო ტექნოლოგიური მარაგის უზრუნველყოფა, რაც განსაკუთრებით საჭიროა მრავალი ჩარხის მომსახურების დროს.

ალექსანდრა მალიშევას ბევრი მიმდევარი ჰყავს. მარტო სათრეველა ტრაქტორების საამქროში 60-ზე მეტი მუშა გადავიდა მრავალი ჩარხის მომსახურებაზე. თავისი მუშაობის შესახებ მალიშევას ბევრჯერ უამბნია რაციონალიზატორების საქალაქო თათბირებზე.

წელს ბელორუსიის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „მრავალჩარხოსან ალექსანდრა მალიშევას მუშაობის გამოცდილება“. ტექნიკური ინფორმაციის საქარხნო ბიურომ გამოუშვა პლაკატი ახალგაზრდა ნოვატორ-მრავალჩარხოსნის მუშაობის შესახებ.

ალექსანდრა მალიშევა აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია, არის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის, უბნის კომკავშირის ბიუროს წევრი. წარმოების მოწინავე ახალგაზრდა მუშაკს მიენიჭა წოდება „მინსკის საუკეთესო მღარველი“.



ა. მალიშევა გამოცდილებას უზიარებს ა. დოლგალევს და ხ. პუნტუსს.

„ლენა“ სამშობლოში გაემგზავრა

დიზელ-ელექტრომავალმა „ლენამ“ — ერთადერთმა გემმა, რომელიც ანტარქტიდაში იყო დარჩენილი ანტარქტიდის შემოდგომის დღეებში, „პრავდის“ ნაპირი დატოვა.

„ლენის“ გაგზავრების წინადღეს მოეწყო უკანასკნელთ დღეში ყინულების მესამე ღრმა საპაერო დაზვერვა. დაზვერვამ ცხადყო, რომ ანტარქტიდის ნაპირებთან გემის შემდგომი დარჩენა დაკავშირებულია ყინულებში ჩარჩენის საფრთხესთან. დეიგოისის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ყინულების ვითარება დღითიდღე უარესდებოდა. პაკის ყინულების ზონაში გასასვლელი სწრაფად ვიწროვდებოდა. გახშირებული ძლიერი შტორმების გავლენით ზღვის ყინულებმა დახურა ერთადერთი მოხერხებული გასასვლელი ყინულოვანი ზონის ჩრდილო-დასავლეთით.

მკვეთრად გუთარესდა აგრეთვე მდგომარეობა უშუალოდ „ლენის“ დგომის რაიონში. წყლის ტემპერატურის სწრაფმა დაცემამ ახალი ყინულის ინტენსიური წარმოქმნა გამოიწვია. ერთ-ერთი უკანასკნელი ღამის ვანმავლობაში გემის ქიმთან, სადაც ჯერ კიდევ წინადღით წმინდა წყალი იყო, ოცეთი მეტრი ყინულოვანი მინდორი შეიქმნა, რომ იქ სელაპები იწვნენ.

ყინულების დაზვერვის დროს კაპიტანმა ა. ვეტრო

პარტიული ცხოვრება

წარმოების შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის

★

რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

★

რუსთავი. (საკ. კორ.). შედგა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. სკკპ XX ყრილობის შედეგებისა და რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა, XX ყრილობის დელეგატმა ამხ. **ნ. გომელაურმა.**

— უდიდესია პარტიის XX ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა, — თქვა მომხსენებელმა, — ყრილობამ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახა სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიდი პროგრამა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაჭრან ქალაქ რუსთავის პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განსახორციელებლად, ამასთან განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე.

აღინიშნა, რომ მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი წელს საწარმოო გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. მიუხედავად ამისა, ქარხნის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, გამოუყენებელია წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვები. მარტენის საამქროში კვლავ დიდია წუნი და ლითონის დანაკარგები. ბლუმინგის საამქროში არის მოწყობილობის მოცდენის შემთხვევები. მილნამზადისა და მილსაგლინავ საამქროებში მაღალია ლითონის ხარჯვის კოეფიციენტი. ფურცელსაგლინავ საამქროში ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების ათვისება.

მეტალურგიული ქარხნის ძირითად საამქროებში ნელი ტემპით ინერგება პროგრესული ტექნიკური ღონისძიებანი. ფოლადსადნობი საამქროს პარტიიურის მდივანმა ამხ. **შ. კუხალეიშვილმა** თავისი სიტყვა ძირითადად წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის საკითხებს მიუძღვნა. წელს მარტენის 2 ღუმელის ტევადობა 150 ტონამდე იქნა გადიდებული, რაც ფოლადის წარმოების 8 პროცენტით გაზრდის საშუალებას იძლევა. ამის შესაბამისად საჭიროა ამწეთა ტვირთამწეობის გადიდება, მაგრამ ამ სამუშაოს გაჭიანურების გამო გადიდებული ტევადობის ღუმელებში კვლავ ძველებურად 130 ტონა კაზმს ტვირთავენ.

ბლუმინგის საამქროს უფროსმა გამხურებელმა ამხ. **ვ. ვეფხვიშვილმა** აღნიშნა, რომ საამქროში ტექნიკურ სიახლეთა დასანერგავად მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული, მაგრამ მათი პრაქტიკულად განხორციელება მივიწყებულია. აქამდე არ შესდგომიან გამახურებელი ჭების მე-6 ჯგუფის მშენებლობასა და მარწუხებიანი ამწეს მონტაჟს, რაც ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს უნდა დაემთავრებინათ.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. **გ. ქართველიშვილმა** ილაპარაკა მშენებელთა წინაშე მდგომი ახალი ამოცანების შესახებ. მაგრამ მან ანალიზი არ გაუკეთა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ საგრძნობია მშენებელთა მუშაობაში.

ტექნიკური პროგრესის საკითხებზე ილაპარაკეს აგრეთვე კამათში გამოსულმა კომუნისტებმა — აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორმა ამხ. **ნ. ჭიპაშვილმა,** მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. უამიერაშვილმა,** ცემენტის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. **პ. სავიცკიმ** და სხვებმა.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. კრების მონაწილეებმა ქალაქ რუსთავის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით პირობა მისცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, არ დაზოგავენ ძალასა და ენერგიას მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.



ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა მღარავმა ქალმა გ. ტყეშელაშვილმა, რომელიც ავტომაწმენდის წინა ხიდის ნაწილების დამზადებაზე მუშაობს და ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** გ. ტყეშელაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო მ. მაღლაფერიძისა.

★

გაძლიერებული ბრძოლა მოწინავე განყოფილებებს

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა აღსანიშნავად თებერვალში მნიშვნელოვანი საწარმოო მიღწევები მოიპოვა — 104,1 პროცენტით შეასრულა ვაგონების დატვირთვისა და 107 პროცენტით გადმოტვირთვის გეგმა, 5,6 პროცენტს გადაჭარბებით შეასრულა ვაგონების ბრუნვის დავალება და 6 პროცენტით გაადიდა ორთქლმავლებისა და 5 პროცენტით ელმავლების საღღეღამისო გარბენი. საგრძნობლად შემცირებულია ტვირთზიდვის თვითღირებულება და ნორმის გადაჭარბებით გადაზიდულია 161 ათას ტონაზე მეტი ტვირთი.

თებერვლის მაჩვენებლების მიხედვით თბილისის განყოფილების კოლექტივს მიუღია ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამას წინათ გზის უფროსის მოადგილემ ი. ჭარუმიძემ გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცა დროშა. თბილისელმა რკინიგზელებმა უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად შეჯიბრებაში გამოიწვიეს აზერბაიჯანის რკინიგზის ბაქოს განყოფილების კოლექტივი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მეჯი ყურადღება პირუტყვის გამოზამთრებას“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო დმანისის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი პირუტყვის გამოზამთრების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომი გვატყობინებს, რომ რაიკომის ბიუროს განიხილა სოფელ ვაჯის კოლმეურნეობაში პირუტყვის გამოზამთრების საკითხი და სწორად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა.

რაიკომის ბიუროს რჩევა მისცა კოლმეურნეობის საერთო კრებას გაათავისუფლოს სამუშაოდან თავმჯდომარე მ. დემენტიევი, რომელიც ვერ შეძლო სათანადო ხელმძღვანელობა.

მიღებულია ზომები დმანისის, ირგანჩაისა და დაღარუხლოს კოლმეურნეობებისათვის კონცენტრირებული საკვების გამოსაყოფად.

აგროტექნიკურ ვადებში ჩავატარეთ საგაზაფხულო თესვა

ეროვნული ეკონომიკა

კარგი დასაწყისი

ალაზნის ველზე უკვე გაჩაღდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. მექანიზატორები და კოლმეურნეები თავდადებული შრომით ამთავითვე უყრიან საფუძველს მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში დაამთავრეს ქერის, შვრიის, კარტოფილის თესვა. გაცხოველებით მიმდინარეობს მზესუმზირას თესვა. ანაგელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს დათესონ 245 ჰექტარი სიმინდი. საამისოდ შეარჩიეს სარწყავი ნაკვეთები, მოიმარაგეს 60 ცენტნერი საუკეთესო ჯიშის კონდიციური თესლი. სიმინდი მთელ ფართობზე მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივად დაითესება.

შერჩეული არიან კოლმეურნეები, რომლებიც კვადრატულ-ბუდობრივ თესვაზე იმუშავებენ. ამ წესით თესვაზე მათთან პერიოდულად ეწყობა საუბრები, კონსულტაციები, პრაქტიკული მეცადინეობა. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების სანმუშოდ ჩატარების საქმეში კოლმეურნეობის გამგეობას ქმედითად ეხმარება პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტები აქტიურად მუშაობენ საგაზაფხულო სამუშაოთა გადამწყვეტ უბნებზე.

კოლმეურნეობაში ამაღლდა შრომის დისციპლინა. თუ შარშან შრომისუნარიან კოლმეურნეთა მხოლოდ 80 პროცენტი გამოდიოდა სამუშაოდ, ახლა ყველა ჩაება შრომაში. ამ მხრივ მისაბაძია მესამე ბრიგადის (ხელმძღვანელი ა. ღვიდაშვილი) მუშაობა.

ბრიგადაში სისტემატურად ეწყობა საწარმოო თათბირები, განაზოგადებენ მოწინავე ადამიანების მიღწევებს, ამხილებენ ნაკლოვანებებს, ჩამორჩენილებს. ბრიგადას მუშაობაში ენერგიულად ეხმარება აგიტატორი მაყვალა ჯანგულაშვილი. იგი სისტემატურად ესაუბრება ბრიგადის წევრებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე. ამ დღეებში მან კოლმეურნეებს გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე.

კოლმეურნეობის წამყვანი დარგია მევენახეობა. ვენახების ფართობი 109 ჰექტარს შეადგენს. ბერსპექტიული გეგმით ვენახს წელს აქ კიდევ 9 ჰექტარზე გააშენებენ, რისთვისაც მომზადებული აქვთ პლანტაჟი. ამ გაზაფხულზე წარმატებით დაამთავრეს ვენახების მწკრივთა შორის ხვნა და ვაზის სხვლა, ვენახებში მარტო საგაზაფხულოდ შეტანილია 350 ცენტნერი ორგანული სასუქი. დაიწყეს ვაზის შეყელვა.

ვენახის საგაზაფხულო სამუშაოებში დაწინაურდა მევენახეობის მეექვსე ბრიგადა (ბრიგადირი გ. ბეგიაშვილი), რომელმაც 30 ჰექტარ ვენახში მაღალხარისხოვნად ჩაატარა მწკრივთა შორის ხვნა, ვაზის გასხვლა, შეიტანა სასუქები, სწრაფი ტემპით აწარმოებს გამობარვას.

საკოლმეურნეო მინდვრებში სულ უფრო მეტად ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

XX ყრილობის გადაწყვეტილებები — მასებში!

პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

ცხინვალი. (საკ. კორ.). გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარის მონაწილეებისათვის წაკითხულ იქნა მოხსენებები თემებზე: „პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები და პიოველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“, „სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დაყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებში“, „პარტორგანიზაციის მუშაობის დაგეგმვის, კრებებისა და პარტბიუროს სხდომების მომზადების და ჩატარების, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისა და ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების პრაქტიკის შესახებ ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში“, „პარტიული მეურნეობა“.

პარტიის XX ყრილობის შედეგების შესახებ სემინარზე მოხსენება გააკეთა რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ურუშაძემ.

სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიული ორგანიზაციების მდივნები ი. ნაროუშვილი, შ. ხეცურიანი, ი. კიკიტალია და ა. ვარდია. სემინარის მონაწილეებს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა ა. კვაშილავამ, ა. კოკაიამ და ა. ჯანჯღავამ.

ქარელის რაიონში ახალი ძალით გაჩაღდა საგიტაციო მუშაობა მშრომელთა ფართო მასებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების ახსნა-განმარტებისათვის. პარტიის რაიკომის მუშაკები, ლექტორი-პროპაგანდისტები და აგიტატორები კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საწარმო-დაწესებულებებში კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს, აწყობენ საუბრებს. სოფელ ქვემო ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებს ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს, აგრეთვე სხვა მასალებს ღრმად განუმარტავენ აგიტატორები ა. გოგალაძე, ნ. ყაჭიაშვილი, გ. ბაციკაძე და სხვ.

ეცნობიან რა XX ყრილობის მასალებს, კოლმეურნეები ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ა. არხოშაშვილმა კოლმეურნეთა სახელით ვალდებულება აიღო, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარებენ საგაზაფხულო სამუშაოებს, მნიშვნელოვნად გაადიდებენ სიმინდის, შაქრის ჭარხლის, სასილოსე კულტურების ნათეს ფართობს, გადაჭარბებით შეასრულებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატმა, მერგოლურმა ანა ელბაქიძემ, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება მერგოლურ ჟენია ხრრბალაძესთან, იკისრა 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 650 ცენტნერი, ხოლო პირადად მისთვის მოსავლად მიჩენილ 1 ჰექტარზე — 750 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

პლ. ასანიძე.

აგიტატორთა თათბირი

ამბროლაური. (საკ. კორ.). შედგა აგიტატორთა რაიონული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები.

მოხსენება „სააგიტაციო მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა პარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. კახიძემ. მომხსენებელმა გააკრიტიკა სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ნაკლოვანებანი და ვრცლად ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მოაწყონ აგიტატორებმა პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდა და ახსნა-განმარტება მშრომელთა ფართო მასებში.



ეს გაკეთდეგა მეექვსე ხუთწლედში

ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით ჩვენს რესპუბლიკაში დასახულია ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება. ამას მოითხოვს მსუბუქი მრეწველობის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საარსებო ინტერესები.

როგორია ის გზები და საშუალებანი, რომელთა მეოხებით უნდა გადავწყვეტთ ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის ახალი აღმავლობის ამოცანა?

პირველ რიგში უნდა მივაღწიოთ არსებით გარდატეხას სანაშენო მუშაობის დარგში, რათა უზრუნველვყოთ უხეშმატყლიანი მეცხვარეობის ერთგვაროვან ნაზ და ნახევრადნაზმატყლიანად გარდაქმნის დაჩქარებით განხორციელება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა უზრუნველყოფას მაღალპროდუქტიული ნაზ და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშიანი ყოჩ-მწარმოებლებით და მათი მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას. მეურნეობების ჯიშიანი მწარმოებლებით უზრუნველყოფის გზებია როგორც გეგმიანი შესყიდვა, ისე საკუთარი სულადობიდან საუკეთესო ყოჩების თავის დროზე შერჩევა.

წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონების მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ქართული ჯიშის ცხვრის ყოჩებით გეგმიანი დანერგვის გზით მნიშვნელოვნად გაზარდეს მატყლის ნაპარსი და გაუმჯობესეს მისი ხარისხი, რის შედეგადაც მატყლის ჩაბარების გასული წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელა თავი წითელწყაროს რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც მატყლის ჩაბარების გეგმა 122,4 პროცენტით შეასრულა. ამავე რაიონის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმა 111 პროცენტით გაანაღდა, სიღნაღის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ—108 პროცენტით და სხვ.

წარმატებით ინერგება წარმოებაში ელდარის საბჭოთა მეურნეობაში გამოყვანილი ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ახალი ჯიშური ჯგუფის ყოჩები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ვიექცეს ჯიშიანი ყოჩების თავის დროზე შემოყვანას და ნერგვისათვის შომზადებას. ჯიშიანი ყოჩების გამოყენების ყველაზე ეფექტიანი გზაა ხელოვნური დათესვის საქმის გაუმჯობესება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის დადგენილებაში „მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა, მატყლის წარმოების გადიდებისა და დამზადების ღონისძიებათა შესახებ“ აღნიშნულია, რომ ხელოვნური დათესვა გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ცხვრის შეჯვარების ძირითადი მეთოდი.

ამოცანა ის არის, რომ საქართველოში შეექმნათ ხელოვნური დათესვის რესპუბლიკური მნიშვნელობის პუნქტები, სადაც თავი უნდა მოვუყაროთ მაღალპროდუქტიულ ყოჩებს. მათი თესლის გადატანა უნდა ხდებოდეს სათანადო თერმოსებით.

ხელოვნური დათესვის მეთოდის შემუშავებისა და სრულყოფის საქმეში სსრ კავშირს მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პრიორიტეტი ეკუთვნის. მაგრამ მისი გამოყენების მხრივ ჩვენ ჩამოვრჩებით საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებს. ხელოვნური დათესვის მეთოდის მასობრივად გამოყენება ჩვენში ერთდროულად გადაჭრის ორ ამოცანას.

პირველი, მაქსიმალურად გამოვიყენებთ მაღალი ღირსების ჯიშიან მწარმოებლებს და აღვკეთავთ ცხვრის დანერგვას შემთხვევითი ყოჩებით, რასაც ადგილი აქვს ბუნებრივი დანერგვისას. მეორე, ამასთან ერთად ეფექტიანად შეიძლება ვებრძოლოთ ცხვრის ბერწიანობას და დავიცვათ ცხვრის დანერგვისა და დოლის საუკეთესო ვადები.

საქართველოში ცხვრის ხელოვნური დათესვის 1955 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს საგარეჯოს, კაჭრეთის, სიღნაღისა და სხვა რაიონებმა. საჭიროა გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება და ხელი შევუწყოთ ამ საქმის ყოველმხრივ განვითარებას. ამ მხრივ დიდი როლი აკისრიათ ზოოტექნიკური და ვეტერინარული დარგის მუშაკებს, რომლებიც კარგად უნდა იყვნენ დაუფლებულნი ხელოვნური დათესვის მეთოდსა და ტექნიკას.

მეცხვარეობის აღმავლობის საფუძველია მტკიცე საკვები ბაზის შექმნა და ცხვრის კვების, მოვლისა და შენახვის პირობების მკვეთრი გაუმჯობესება. მაგრამ როგორც ეს საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე აღინიშნა, საკვები ბაზა კვლავ ჩამორჩება მეცხოველეობის გაზრდილ მოთხოვნებს. ეს სერიოზულად აფერხებს სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებას.

ცნობილია, რომ ჯიშიანი, ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვარი მეტ მომთხოვნელობას იჩენს კვების, მოვლა-შენახვის პირობებისადმი, ვიდრე ადგილობრივი თუშური ცხვარი. ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა სრულად უზრუნველვყოთ პირუტყვი მრავალფეროვანი საკვების საჭირო მარაგით.

საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში ცხვარი ძირითადად სარგებლობს ბუნებრივი საძოვრებით და სათიბებით. ამიტომ მათი ყუათიანობის დაჩქარებით გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ღონისძიება მოითხოვს საძოვრების გაუმჯობესებას კარგი საკვები ღირსების მქონე ველური ბალახების თესვითა და შეთესვით, საძოვრებზე თესლბრუნვის დანერგვით, სასუქების შეტანით.

სათიბ-საძოვრები უნდა გავამდიდროთ ცილებით მდიდარი მარცვლოვანი პარკოსნებით და უზრუნველვყოთ სათანადო აგროტექნიკური წესების დაცვა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაჩქარებით უნდა გადაჭრას საზაფხულო საძოვრების მიზანშეწონილი განაწილების საკითხი ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების მიხედვით. ამით ადვილად მივაღწევთ საძოვრების გაუმჯობესების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს საზაფხულო საძოვრების რამდენიმე ათასი ჰექტარი იმდენად დასარევლიანებულია, რომ ცხვარი ვერ სარგებლობს და ისინი წლების მანძილზე გამოუყენებელი რჩება. ასეთი ფართობის მოცულობა ყოველწლიურად მატულობს, რადგან არავითარი ღონისძიება არ ტარდება სარეველა ბალახების მოსპობისათვის. საჭიროა დაჩქარებით შევიმუშაოთ სარეველათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდი.

ჩვენი მეცხვარეობის პროდუქტიულობას მნიშვნელოვნად ამცირებს ცუდი გადასარეკი ტრასები საზაფხულო საძოვრებიდან საზამთრო საძოვრებზე და უკან. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადასარეკი ტრასების კეთილმოწყობას, ცხვრის უზრუნველყოფას საკვებით, წყლით და დასასვენებელი ადგილებით. გადასარეკ ტრასაზე ასეთი პირობების შექმნით ცხვარი არათუ არ კლებულობს წონაში, არამედ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საგრძნობლადაც მატულობს. ამასთან მოზრდილი ცხვრის სადღეღამისო წონის ნამატი ას გრამს აღემატება, ხოლო ბატკნისა ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მოზრდილი ცხვრისა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ცხვრის სილოსით კვება ბევრად ზრდის მატყლის პროდუქტიულობას. ეს გვავალებს ცხვარი უზრუნველვყოთ არა მარტო უხეში საკვებით, არამედ აგრეთვე სილოსითა და კონცენტრირებული საკვებით.

საბჭოთა კავშირის მეცხოველეობის მოწინავე რაიონების გამოცდილება გვასწავლის, რომ სილოსი ხელს უწყობს ცხვრის ჯანმრთელობას, განაყოფიერებასა და ზრდის განვითარებას, ამასთან ერთად ადიდებს მატყლის ნაპარსს და აუმჯობესებს მის ხარისხს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებები იმ მეცხვარეების, ბრიგადებისა და კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ მეცხვარეობის პროდუქტიულობის გეგმებს. ეს დიდ სტიმულს მისცემს მეცხვარეობის აღმავლობას.

დიდი ამოცანები დგას სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ მეცხოველეობის განვითარების დიდი მასშტაბის ღონისძიებათა შესრულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა, რომ მეცნიერები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის გადიდების აქტუალური საკითხების დამუშავებას.

ჩვენ, მეცნიერებმა ეს სერიოზული ნაკლოვანებანი დაჩქარებით უნდა გამოვასწოროთ და ქმედითი დახმარება გავუწიოთ მეცხოველეობას მისი მკვეთრი აღმავლობის ამოცანის განხორციელებაში.

მეცხვარეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს, რათა უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კათედრები და საქართველოს სსრ მეცხიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტები უფრო ახლოს მივიდნენ წარმოებასთან. მათს თემატურ გეგმებში მეცხოველეობის განვითარების პრობლემებმა წამყვანი ადგილი უნდა დაიკავონ.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და, კერძოდ, ცხვრის ბიოლოგიის, კვების, სელექციის თეორიისა და სხვა საკითხების დამუშავებაში ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ზოოვეტინსტიტუტის სათანადო კათედრებმა. ამ დარგში მეცხვარეობისათვის გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო კათედრებს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს.

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს დიდი მუშაობა მართებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის. ჩვენ არ დავიშურებთ ცოდნასა და ენერგიას მეცხოველეობის დარგში მეცნიერული მუშაობის ახალი ამოცანების დონეზე აყვანისათვის.

იმისათვის, რომ დაჩქარებით განვახორციელოთ ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარების ამოცანა, ინსტიტუტი ამუშავებს საზამთრო-საზაფხულო და გადასარეკ ტრასებზე ცხვრის საკვებით უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მეცხვარეობის საკოლმეურნეო ფერმების ჯიშიანი ყოჩებითა და მაღალხარისხოვანი სილოსით მომარაგების საკითხებს.

მეცხოველეობის დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მკვეთრად გავიდოთ პროდუქტების წარმოება ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე და შევამციროთ შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე.

პროფესორი ა. ნატრაშვილი,
საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

ავამაღლოთ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დონე!

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ნ ი

— აბა, წავედით!

საშუალო ტანის, ჯმუხა მემანქანემ ფრთხილად გადასწია სახელური. ელმავალმა მძიმედ დაძრა გრძელი სატვირთო მატარებელი და, თითქოს ტვირთი ემძიმაო, ისევ შეჩერდა. ელმავალმა ხელახლა გაიწია წინ, მოწყვეტით გაიტაცა მძიმე ვაგონების გრძელი წყება და ცოტა ხნის შემდეგ უკვე მთელი სისწრაფით მიჰქროდა ქართლის ველებზე.

მემანქანემ თავისუფლად ამოისუნთქა, შუბლზე ხელი გადაისვა და ახალგაზრდა თანაშემწეს გადახედა.

— ძალიან კი გაგვიჭირდა, ილო! უცებ გავიფიქრე კიდეც, მეორე ელმავალი თუ არ დაგვეხმარა, საქმე ცუდად არის-მეთქი!

— შენგან მიკვირს, გრიშა? ისე ლაპარაკობ, კაცს ეგონება მძიმე წონის მატარებელი პირველად მიყავხო. მართლაც, შემადგენლობა ნორმაზე თითქოს ორჯერ მძიმეა, მაგრამ ამაზე უფრო მძიმე მატარებლიც ჩაგვიყვანია მშვიდობით დანიშნულების ადგილზე. განა მარტო ჩვენ? აი ორიოდე დღის წინათ...

— ვიცი, ვიცი, რაც უნდა თქვა, — გააწყვეტინა სიტყვა თანაშემწეს გრიგოლ ბოგვერაძემ და მზეზე მბრწყინავ ფოლადის მაგისტრალს დაკვირვებით გახედა. „სისხლი უდუღს ახალგაზრდას“ — გაიფიქრა თანაშემწეზე.

16 თებერვალს მემანქანე ალექსი დემეტრაშვილმა ხაშურიდან თბილისში ჩამოიყვანა მატარებელი, რომლის წონა ექვსი ათას ტონას აღემატებოდა, და ამის შემდეგ იცლო ჯაფარაშვილი მოხვენებას აღარ აძლევს თავის უფროსს — მოდი, ჩვენც წავიყვანოთ ასეთი მატარებელიო. არც უფროსი მემანქანეა ამის წინააღმდეგი, მაგრამ...

— ბიჭო, რას გადამეკიდე წავიყვანოთ და წავიყვანოთო,—უცებ მიუბრუნდა იგი ჯაფარაშვილს, — მე და შენ ხომ არ შევადგენთ მატარებელს?!

— ჩვენ არ შევადგენთ, მაგრამ უნდა მოვითხოვოთ!

— მოვითხოვოთ? განა სულ მაგას არ მოვითხოვთ ყველა თათბირზე და კრებაზე? ამ ბოლო დროს საქმე ცოტა გამოსწორდა კიდეც. მარტო ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ყველა მატარებელს ხმიერ ეშველებოდა ჩვენ. ეს ბოლოს ერთ-ორ-ერთ ეშველებოდა ჩვენ. ეს ბოლოს ერთ

მსოფლიოს რუკასთან

სირიის რესპუბლიკა

სირია მდებარეობს აზიის დასავლეთ ნაწილში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ჩრდილოეთით სირიას ესაზღვრება თურქეთი, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით — ერაყი, სამხრეთით — იორდანია და ისრაელის სახელმწიფო, ხოლო დასავლეთით — ლიბანი და ხმელთაშუა ზღვა.

სირიის ტერიტორია 184.500 კვ. კილომეტრს უდრის, მოსახლეობა კი 3.535 ათასს. მოსახლეობის უმრავლესობას (90 პროცენტი) არაბები წარმოადგენენ. დედაქალაქია დამასკო.

უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ მძიმე კვალი დაჩნია სირიის ეკონომიკას. სირია ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, სადაც ძირითადად მიწათმოქმედებასა და მებაღეობას მისდევენ. აქ მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სორგო. გაშენებულია ზეთისხილის ბაღები, ვენახები, სუბტროპიკული კულტურები, ტექნიკური კულტურებიდან — ბამბა, კანაფი, შირბატი და თამბაქო.

მრეწველობა სირიაში მეტად სუსტად არის განვითარებული. ძირითადად აქ ხელოსნობას და შინამრეწველობას მისდევენ. ხანგრძლივმა კოლონიურმა ბატონობამ საკმაოდ დაქვეითა საყოველთაოდ ცნობილი სირიული შინამრეწველობა, რომელიც განსაკუთრებით განთქმული იყო აბრეშუმისა და უეანგავი ფოლადის იარაღის (ე. წ. „დამასკურის“) წარმოებით.

სირიის სტრატეგიული მდებარეობა ყოველთვის იპყრობდა უცხოელ კოლონიზატორთა ყურადღებას. პირველ მსოფლიო ომამდე სირია ფორმალურად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, არსებითად კი სირიის ეკონომიკაში საფრანგეთის კაპიტალი იყო გაბატონებული. 1920 წელს სირია ხელში ჩაიგდო საფრანგეთმა, როგორც თავისი სამანდატო სამფლობელო, და იქ სასტიკი კოლონიური რეჟიმი დამყარა.

1946 წელს მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად სირიელმა ხალხმა იძულა საფრანგეთია და ინგლისის იმპერიალისტები გაეყვანათ თავიანთი საოკუპაციო ჯარები სირიის ტერიტორიიდან და სირიამ ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მოიპოვა.

სირია პარლამენტური რესპუბლიკაა, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ მთავრობა და 5 წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილია სირიის ერთპალატიანი პარლამენტი — წარმომადგენელთა პალატა.

უკანასკნელი წლების მანძილზე, სხვადასხვაგვარი ფანატიტურისტული ხრიკების საშუალებით იმპერიალისტები არაერთხელ შეეცადნენ ჩაეთრიათ სირია აგრესიულ ბლოკში და დაემყარებინათ ამ ქვეყანაში ანტიხალხური, რეაქციული რეჟიმი.

1949-1951 წლებში ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების აშკარა მხარდაჭერით სირიის არმიის რეაქციონერმა პოლკოვნიკებმა ჰუსნი აზ-ზაიმმა, სამი ჰინაოვიმ და ადიბ შიშეკლიმ ზედიზედ ოთხჯერ მოახდინეს სირიაში სახელმწიფო გადატრიალება. ამ სახელმწიფო გადატრიალებათა შედეგად ძალაუფლება ხელთ იგდო ამერიკული ორიენტაციის სირიელმა პოლკოვნიკმა ადიბ შიშეკლიმ.

1954 წლის თებერვალში ფართო სახალხო მოძრაობის შედეგად დამხობილ იქნა პოლკოვნიკ ადიბ შიშეკლის სამხედრო დიქტატურა და აღდგენილ იქნა რესპუბლიკური წყობილება. პარლამენტის არჩევნების შედეგად სირიაში გაიმარჯვეს პროგრესულმა ძალებმა. დამასკოს მშრომელებმა თავის დეპუტატად პარლამენტში ერთსულოვნად აირჩიეს სირიისა და ლიბანის კომპარტიის გენერალური მდივანი ხალედ ბაგდაში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სირიის მთავრობა ახორციელებს პოლეტიკას, რომელიც მიმართულია ინგლის-ამერიკის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ ახლო და შუა აღმოსავლეთში. სირია სასტიკ წინააღმდეგობას უწევს იმპერიალისტების ცდებს გააფართოონ ბაღდადის აგრესიული სამხედრო ბლოკი. მან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადო ეგვიპტის, საუდის არაბეთისა და ლიბანის მთავრობებთან.

გასულ წელს ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებმა სცადეს დაემხოთ სირიაში რესპუბლიკური მთავრობა და აღიდგინათ პოლკოვნიკ ადიბ შიშეკლის სამხედრო დიქტატურა. სირიელმა ხალხმა ჩაფუშა იმპერიალისტების ეს ცდა და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია აგრეთვე თურქეთისა და ისრაელის აგრესიული წრეების ცდებს სირიის საზღვრებთან სამხედრო კონფლიქტების მოწყობის საშუალებით ზემოქმედება მოეხდინათ და დაეშინებინათ სირიელი ხალხი.

მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა მეტად მაღალ შეფასებას აძლევს იმ ბრძოლას, რომელსაც თანმიმდევრულად ეწევა სირიელი ხალხი თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და არაბულ აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის მოსაპოვებლად.

გასული წლის 21 დეკემბერს გამოქვეყნდა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის დადგენილება მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ძალებს გამოჩენილ მოღვაწეთა ახალი ჯგუფისათვის ამ საპატიო ჯილდოს მინიჭების შესახებ. მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ახალ laureatთა შორის არის სირიის დედაქალაქის დამასკოს მუსლიმანთა წინამძღოლი (შეიხი) მუჰამედ ალ-აშმარი.

შეიხ მუჰამედ ალ-აშმარის მიერ განვლილი ცხოვრების გზა წარმოადგენს სირიისა და სხვა არაბული ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის მაგალითს. დამასკელი შეიხის, მუჰამედ ალ-აშმარის სახელი ფართოდ არის ცნობილი ახლო და შუა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოლონიზატორთა და იმპერიალისტთა წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სირიელმა ხალხმა მუჰამედ ალ-აშმარი ირჩია მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ ამად იგი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრია და მეტად ქმედით მონაწილეობას იღებს მშვიდობის მოსახრეთა მსოფლიო საბჭოს სესიების მუშაობაში. შეიხ მუჰამედ ალ-აშმარის საერთაშორისო სტალინური პრემიით დაჯილდოება იმის აშკარა გამოვლინებაა, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევს მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა სირიისა და სხვა არაბული ქვეყნების ხალხთა თავდადებულ ბრძოლას ბაღდადის აგრესიული ბლოკის წინააღმდეგ, თანამედროვე ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

17 მარტს დამასკოში სირიის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, სირიის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს შეიხ მუჰამედ ალ-აშმარს გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია. ლაურეატს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ვ. წერეთელმა და სხვ. — მე მიმაჩნია, — ამბობს შეიხ მუჰამედ ალ-აშმარი, — რომ პრემია, რომელიც დღეს გადმომეცა, იმდენად ჩემი პირადი დამსახურების აღიარება არ არის, რამდენადაც ამ ბრძოლის მაღალი შეფასება, რომელსაც აწარმოებენ სირიელი ხალხი და ყველა არაბი ხალხი თავისუფლებისა და სუვერენიტეტისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ამერიკისა და ინგლისის აგრესიული წრეები ხედავენ, რომ აღმოსავლეთის ხალხებს არა სურთ კვლავ დაიდგან იმპერიალისტური ბატონობის უღელი და თავიანთი ნებით შეუერთდნენ ყბადაღებულ ბაღდადის ბლოკს. ამიტომ ისინი ამჟამად ლამობენ ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოთა შორის არსებული დაძაბული მდგომარეობის „მოწესრიგების“ საბაბით გგზავნონ ახლო აღმოსავლეთში თავიანთი შეიარაღებული ძალები და ამრიგად აღადგინონ კოლონიური ბატონობა ამ რაიონში.

ბოლო ხანებში ფართოდ ვდება და მტკიცდება სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და სირიის რესპუბლიკას შორის. გასული წლის ხელსაწყო სსრ კავშირი იმოგზაურა სირიის საპარლამენტო დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყო აგრეთვე სირიისა და ლიბანის კომპარტიის გენერალური მდივანი ხალედ ბაგდაში.

აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებათა წინააღმდეგ და ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის მოსაპოვებლად სირიელი ხალხის ბრძოლას მხურვალედ უჭერენ მხარს მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები.

შ. კურდღელაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საბჭოთა კავშირის დახმარება მიწისძვრით დაზარალებულ ლიბანის მოსახლეობას

ბეირუთი, 22 მარტი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის დესპანი ლიბანში ს. პ. კოტეცი ეწვია ლიბანის პრეზიდენტს კამილ შამუნს და მას და ლიბანელ ხალხს განუცხადა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის თანაგრძნობა და სამძიმარი სტიქიურ უბედურებასთან — მიწისძვრასთან დაკავშირებით, რაც ლიბანს ეწია.

დესპანმა ს. პ. კოტეცმა აცნობა პრეზიდენტ შამუნს, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა გადაწყვიტა 100 ათასი მანეთი გამოჰყოს მიწისძვრით დაზარალებული ლიბანის მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

პრეზიდენტმა შამუნმა უპასუხა, რომ იგი დიდად ასოამოვნა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხის ყურადღებამ და თანაგრძნობამ და სთხოვა მისი სახელით, აგრეთვე ლიბანის მთავრობისა და ხალხის სახელით მხურვალე მადლობა გადასცეს საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს გამოთქმული გრძნობებისა და გაწეული დახმარებისათვის.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი ქაბულში

ქაბული, 22 მარტი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი შეხვდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს, პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს მუჰამედ ნაიმს და ავღანეთის მთავრობის სხვა წევრებს.

საუბრის მსვლელობაში, რომელიც მეგობრულ და გულთბილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, შეეხნენ საკითხებს, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს.

საუბრის შემდეგ მუჰამედ დაუდმა დარბაზობა მოაწყო ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად.

საღამოს სსრ კავშირის ელჩმა ავღანეთში ბ. ვ. დეგტიარმა სალანჩი გამართა ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად. სადილზე, ესწ. ა. ი. მიქოიანის გარდა, იყვნენ ავღანეთის მთავრობის წევრები და ა. ი. მიქოიანის თანმხლები პირები, აგრეთვე ქაბულში საბჭოთა კავშირის საელჩოს მრჩეველი ი. ს. სპიცკი და სავაჭრო მრჩეველი ბ. დ. ლუზინი.

ქაბული, 22 მარტი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ ქაბულის ისტორიულ მუზეუმს და გაეცნენ მის ექსპონატებს. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ავღანეთის ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი აჰმედ კოხზადი. შემდეგ ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ პურის კომბინატის მშენებლობას, რასაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს ტექნიკური დახმარების გაწევის წესით საბჭოთა კრედიტის ანგარიშში, რომელიც ავღანეთს მიეცა.

12 საათსა და 50 წუთზე ადგილმამრავლი დროით ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები ქაბულიდან კარაჩში გაფრინდნენ. ქაბულის აეროდრომზე მიმავალი გააცილეს: ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მუჰამედ მეიანდვალმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ თარზიმ, სსრ კავშირის ელჩმა ავღანეთში ბ. ვ. დეგტიარმა და ავღანეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა, აგრეთვე ქაბულში აკრედიტებულმა მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი კარაჩში ჩავიდა

კარაჩი, 22 მარტი. (საკდესი). პაკისტანის რესპუბლიკად გამოცხადების გამო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად დღეს კარაჩში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები.

ნერუს განცხადება ინდოეთის სახალხო პაექრობაში

დელი, 22 მარტი. (საკდესი). გუშინ ინდოეთის სახალხო პალატა განიხილავდა თავდაცვის სამინისტროსათვის ასიგნებათა საკითხს.

კამათის დროს სიტყვა წარმოთქვა ნერუმ, რომელმაც ჩამოაყალიბა ინდოეთის მთავრობის პოლეტიკის ძირითადი პრინციპები ინდოეთის თავდაცვის დარგში.

ნერუმ აღნიშნა, რომ ამერიკის სამხედრო დახმარებამ პაკისტანისადმი და უკანასკნელმა სასაზღვრო ინციდენტებმა შეშფოთება გამოიწვია იმის გამო, მზად არის თუ არა ჩვენი ქვეყანა თავდაცვისათვის. მან თქვა: „საკასებით სამართლიანია, რომ ამ ეამად ინდოეთის თავდაცვის დარგში მდგომარეობაზე მეტად ძლიერი გავლენა მოახდინა სამხედრო დახმარებამ (პაკისტანისადმი. — **რედ.**) ამ ფაქტორმა, რომელიც ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოდან მოდის. ამიტომ ჩვენ მდგომარეობა უნდა განვიხილოთ ამ ახალი გარემოების გათვალისწინებით“.

ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა მძიმე მრეწველობის განვითარების დიდი მნიშვნელობა ინდოეთის თავდაცვისათვის და თქვა, რომ ნამდვილი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფად, გარდა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისა, საჭიროა კიდევ შეიქმნას სამრეწველო და ტექნიკური ბაზა.

ამასთან დაკავშირებით ნერუმ თქვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინდოეთის თავდაცვის საქმისათვის ხუთწლიან გეგმას. „ჩვენი უშუალო მიზანი როგორც ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, ისე თავდაცვის თვალსაზრისით, უნდა იყოს მრეწველობის შექმნა და მძიმე მრეწველობის შექმნა, რომელიც მანქანებს ამზადებს“.

ნერუმ აღნიშნა, რომ სწორი მიდგომა თავდაცვისადმი ის არის, რომ მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს ყველა ქვეყანასთან. „პირადად მე არა მგონია,—თქვა მან,—რომ ახლა არსებობდეს ომის რაიმე მნიშვნელოვანი საფრთხე. მოუხდავად ამისა, არ შეიძლება უგულებელყოთ მოულოდნელი სიტუაციის წარმოშობის შესაძლებლობა“.

აღნიშნა რა ის სიძნელეები, რომლებსაც ინდოეთისა და აზიის სხვა ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას უქმნიან სამხედრო კავშირები და უცხოეთის სამხედრო დახმარება მათი მონაწილეობისადმი, ნერუმ დასასრულ თქვა: „ჩვენ სამხედრო პაქტებისა და კავშირების დადების და სამხედრო დახმარების გაწევის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ მივესალმებოდით დახმარებას, რომელსაც გაგვიწევდნენ მშვიდობიანი მშენებლობისა და განვითარების დარგში, რაც საბოლოო ანგარიშით გაცილებით უფრო განამტკიცებს ქვეყანას, ვიდრე სამხედრო დახმარება...“

ინდონეზიის ახალი მთავრობის პროგრამა

პეკინი, 22 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, ინდონეზიის ახალმა მთავრობამ, რომელსაც ალი სასტროამიჯოიო მეთაურობს, გამოაქვეყნა თავისი პროგრამა.

პროგრამაში ნათქვამია, რომ ინდონეზიის მთავრობა იმოქმედებს ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა მიხედვით და განახორციელებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება მთელ მსოფლიოში. მთავრობა გააუქმებს „მრგვალი მაგიდის კონფერენციის“ არათანასწორუფლებიან შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილი იქნა 1949 წელს ინდონეზიასა და ჰოლანდიას შორის, და იბრძოლებს იმისათვის, რომ დასავლეთი ირიანი შეუერთოს რესპუბლიკას.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ საჭიროა მთავრობის საწინააღმდეგო ბანდების ლიკვიდაცია და „კანონიერებისა და წესრიგის“ აღდგენა ინდონეზიის მთელ ტერიტორიაზე.

პროგრამა ფინანსურ-ეკონომიურ დარგში ითვალისწინებს ინდონეზიის ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას და მისი ეროვნული მრეწველობის დაცვას უცხოეთის კაპიტალის კონკურენციისაგან.

პროგრამაში აგრეთვე ნათქვამია, რომ საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება, სამხედრო ბეგრის შემოღება და რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განმტკიცება.

ხმელთაშუა ზღვის რაიონში ამერიკის ჯარები გაძლიერებულ

ათენი, 22 მარტი. (საკდესი). გაზეთი „აკროპოლისი“ იუწყება, რომ „ჩრდილოეთ კაროლინიდან (ამერიკის შეერთებული შტატები) ხელეთაშუა ზღვის რაიონში გაგზავნა ამერიკის ერთი ბატალიონი საზღვაო ქვეითი ჯარი, რომელიც 1.800 კაცისაგან შედგება. ბატალიონს აქვს ტანკები და არტილერია. ფლოტილია, რომელსაც გადაჰყავს ბატალიონი, 6 ხომალდისაგან შედგება; ეს 6 ხომალდი შეკვ ამერიკის მე-6 ფლოტის შემადგენლობაში“.

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში

დღეს, 24 მარტს, ბავშვების შემოდგომა დაწყება მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები, რაც 6 აპრილამდე გაგრძელდება.

ქალაქის სკოლებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში მოეწყობა მოსწავლეთა მხატვრული დილები, ნორჩ მკითხველთა კონფერენციები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტები, ექსკურსიები დედაქალაქის ქარხნებსა და ფაბრიკებში. მოეწყობა შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან, ხელოვნების მუშაკებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან. თეატრებში, ცირკში და კინოთეატრებში გაიმართება დღის სპექტაკლები და სეანსები შერჩეული პროგრამით.

საბავშვო მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით დღეს ხუნდება „საბავშვო წიგნის კვირეული“. „კვირეულთან“ დაკავშირებით მშობლებისათვის გაიმართება ლექციები თემებზე: „როგორ დავეხმაროთ ბავშვებს წარმატებით სწავლაში“, „კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის მნიშვნელობა ბავშვთა კულტურული განვითარების საქმეში“, „წიგნი ადამიანის მეგობარი, მრჩეველი და თანაშემწეა“ და სხვ.

თბილისის მასწავლებლის სახლში ბავშვებისათვის გაიმართება სპორტული კინოფილმების ფესტივალი, ექსკურსია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლანეტარიუმის დასათვალიერებლად, შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში, ჩატარდება ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში.

მრავალი ღონისძიება აქვთ გათვალისწინებული თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს და მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლს.

სპორტის ამბები

„დინამოს“ უძლიერეს მძლეოსანთა ასპარეზობა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობის გამამაშება მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის 140-მდე უძლიერესი მძლეოსანი.

შეჯიბრება სპრინტერთა გამოსვლებით დაიწყო. სტარტზე არიან 100 მეტრზე რბენის მონაწილე ქალები. მოეწყო სამი წინასწარი გარბენა. გაიმარჯვეს დვალიშვილმა, რეშეკოვამ და სეგენმა. ქალთა შემდეგ ამავე დისტანციაზე შეჯიბრებაში გამოვიდნენ ვაეები. სამი გარბენიდან ყველაზე უკეთესი აყვნენ რიდიკინი, ბაზიკოვი და სუხარევი.

100 მეტრზე რბენის პარალელურად მიმდინარეობდა შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში ვაეთათვის. აქ ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ჭეინასტე (ესტონეთი), რომელმაც ბადრო ტყორცნა 50 მეტრსა და 97 სანტიმეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა მიხაილენკო (ხარკოვი), მესამეზე — ზუბალოვი (აზერბაიჯანი).

ქალთა შეჯიბრება ბირთვის კვრაში დამთავრდა მოსკოველი სპორტსმენის ანდრეევას გამარჯვებით. მისი შედეგია — 14 მეტრი და 9 სანტიმეტრი. სიმაღლეზე ხტომაში ვაეთათვის პირველი ადგილი დაიკავა ლაპინშმა (ლატვია, 190 სანტიმეტრი), 800 მეტრზე რბენაში — ვოლკინმა (მოსკოვის ოლქი, 1 წუთი 55,2 წამი).

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა შეჯვდრებმა 100 მეტრზე რბენაში. ქალთა შორის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა რეშეკოვა (12 წამი), ვაეთა შორის — ბაზიკოვი (10,9 წამი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაცკიძე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-13 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 18 მარტს ქალაქ ომსკში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
060006	16*)	5.000	064317	37*)	1.000	067044	47*)	1.000	072322	07*)	50.000	076261	16*)	10.000
060007	1—50	200	064325	05*)	1.000	067206	48*)	1.000	072394	1—50	200	076401	10*)	1.000
060091	16*)	5.000	064467	1—25	200	067806	08*)	1.000	072724	01*)	1.000	076439	12*)	5.000
060204	17*)	1.000	064577	31*)	1.000	067935	1—50	500	072739	36*)	10.000	076480	1—50	200
060280	36*)	1.000	064632	33*)	1.000	067989	14*)	10.000	073136	1—50	200	076665	25*)	1.000
060591	08*)	1.000	064933	1—50	200	068014	1—50	200	073174	1—50	200	076676	32*)	1.000
060635	09*)	1.000	065012	28*)	10.000	068089	1—50	500	073241	22*)	1.000	076937	18*)	1.000
060642	28*)	1.000	065094	44*)	25.000	068119	40*)	1.000	073278	37*)	1.000	076961	1—50	200
060968	13*)	1.000	065098	1—50	200	068128	25*)	1.000	073503	15*)	1.000	077114	50*)	1.000
061082	10*)	1.000	065366	17*)	1.000	068189	13*)	1.000	073604	29*)	1.000	077224	1—50	200
061319	32*)	1.000	065422	32*)	5.000	068258	39*)	1.000	073687	40*)	1.000	077483	1—50	200
061323	07*)	1.000	065461	49*)	1.000	068370	1—50	200	073779	28*)	1.000	077493	44*)	1 000
061470	1—50	200	065504	29*)	1.000	068529	1—50	200	073836	38*)	10.000	077523	16*)	1.000
061999	12*)	1.000	065552	40*)	1.000	068613	50*)	5.000	073973	1—50	500	077569	11*)	1.000
062444	44*)	1.000	065569	14*)	1.000	068717	1—50	200	074115	16*)	1.000	077691	1—50	500
062544	1—50	200	065722	41*)	1.000	068727	45*)	1.000	074163	1—50	500	077836	1—50	200
062554	1—50	200	065780	41*)	1.000	069255	33*)	1.000	074184	1—50	200	077891	47*)	5.000
062633	34*)	1.000	065807	1—50	500	069357	1—50	500	074580	20*)	1.000	078035	1—50	200
062730	30*)	1.000	065966	34*)	1.000	069380	1—50	200	074673	11*)	1.000	078149	1—50	500
062790	08*)	1.000	066033	1—50	500	069688	23*)	1.000	074732	1—50	500	078361	30*)	1.000
063035	29*)	1.000	066050	34*)	1.000	070133	46*)	1.000	074744	1—50	200	078366	1—50	500
063168	38*)	1.000	066089	1—50	200	070138	45*)	1.000	074754	19*)	1.000	078405	15*)	1.000
063181	49*)	1.000	066112	37*)	1.000	070361	31*)	1.000	074783	09*)	25.000	078551	49*)	1.000
063211	05*)	1.000	066262	38*)	5.000	070716	01*)	1.000	074848	09*)	1.000	078710	44*)	1.000
063446	1—50	500	066378	1—50	500	070871	37*)	1.000	075110	1—50	200	078766	31*)	1.000
063448	26*)	1.000	066416	40*)	1.000	070956	1—50	500	075212	1—50	500	079061	28*)	1.000
063646	31*)	1.000	066466	1—50	500	071075	1—50	200	075253	1—50	500	079453	12*)	1.000
063784	01*)	1.000	066471	26*)	1.000	071168	24*)	1.000	075516	1—50	500	079549	31*)	1.000
063804	32*)	1.000	066480	18*)	5.000	071295	1—50	500	075703	24*)	1.000	079566	04*)	1.000
063859	40*)	5.000	066618	24*)	1.000	071353	34*)	1.000	075741	27*)	1.000	079569	1—50	500
063864	04*)	1.000	066774	02*)	1.000	071761	1—50	200	075842	26*)	1.000	079882	28*)	1.000
063953	29*)	1.000	066782	19*)	1.000	071888	26*)	1.000	075906	40*)	1.000	079885	48*)	1.000
064165	07*)	1.000	066900	1—50	200	071917	05*)	1.000	076075	47*)	5.000			
064175	1—50	200	067041	1—50	200	072029	43*)	1.000	076232	24*)	1.000			

*)ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ომსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ე. დემიდენკო.**
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **მ. ი. ნასმანოვიჩი.**

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი, **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — პიგმალიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — ი. რუსინოვის ბენეფისი, **სომხური დრამის** — ლელა, **მუსიკალური კომედიის** — ლაღი ქარი (ახალი სპექტაკლი), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კოტლი მეწისქვილე (აბონემენტი № 41, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უჩინარი დიმა (7 ს. და 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ჩეკმენებიანი კატა (11 ს.), **ფილარმონია** — ა. სმეტანკინის კონცერტი (საზამთრო დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, სპარტაკი — მოგზაურობა არგენტინაში, **ამირანი, თბილისი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — დღეს საღამოს ყველაფერი დამთავრდება. **26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — რუმიანცევის საქმე, **კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — მე და ჩემი ცოლი, **დიდუბე** — მუდოლის ბედი, **კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი** — მაგდანას ლურჯა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — გაცრუებული ოცნებები.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1955-56 წ. წ.

სეზონი

შაბათს, 24 მარტს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივის შეხვედრა სსრ კავშირის სახალხო არტისტ

აკაკი ვასაძესთან

სოფოკლე

ოიდიპოს მეფე

ოიდიპოს მეფე — **აკაკი ვასაძე,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

დაწვრილებით პროგრამაში.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1956 წ. 4 აპრილს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორ